

ქეთევან ლომთათიძე

აშხარული დიალექტი და მისი ადგილი
სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა
შორის

ტექსტები თურთ

→ 36 Styrker, 600, 1000/1500

სარჩევი

წინასიტყვაობა — *Предисловие*
ტრანსკრიფცია — *Транскрипция* .

VII
XII

ფონეტიკა — *ФОНЕТИКА*

I. ფონეტიკური სისტემა — *Фонетическая система* . 1

§ 1. ხმოვნები — 1. § 7. წინაენისმიერი ლაბიალიზებული სპირანტები — 1. § 3. ენაკბილისმიერი ლაბიალიზებული ხშულები — 7. § 4. ლარინგალური სპირანტები — 11. § 5. ფარინგალური ხშულები — 15. § 9. კბილ-ბაგისმიერ სპირანტთა სამეული — 16. § 7. ლაბიალიზებული აფრიკატები — 17. § 8. ადილურ ენაოვან მომდინარე ბგერები — 17. § 9 ე. წ. გემინირებულ თანხმოვანთა საკითხი — 20. § 10. სხვა ენათა ბგერების გადმოცემა — 22. § 11. რას იძლევა აშხარული დიალექტი აფხაზური ენის ფონეტიკური სისტემისათვის? — 26.

II. ფონეტიკური პროცესები — *Фонетические процессы* . 30

§ 12. ხმოვანთა ასიმილაცია — 30. § 13. ხმოვანთა დაკარგვა — 35. § 14. ხმოვანთა შენაცვლება — 37. § 15. თანხმოვანთა დაკარგვა — 39. § 16. თანხმოვანთა გადასმა — 40. § 17. თანხმოვანთა დისიმილაცია — 41. § 18. თანხმოვანთა ასიმილაცია — 41. § 19. თანხმოვნის განვითარება — 42. § 20. თანხმოვანთა შენაცვლება — 43.

III. სრულხმოვნობა — *Полногласие* 48

§ 21. სრულხმოვნობა — 48.

IV. მახვილი — *Ударение* 49

§ 22. მახვილი — 49.

მორფოლოგია — *МОРФОЛОГИЯ*

V. სახელი — *Имена* 51

§ 23. სახელის ზოგადი და განსახლერული ფორმისათვის აშხარულ დიალექტში — 51. § 24. რიცხვის ფორმები სახელებში — 57. § 25. ინსტრუმენტალისის კატეგორიისათვის სახელებში — 59. § 26. სახელის ვითარებით-კარდაქცევითი ფორმა — 61. § 27. ჩვენებითი ნაცვალსახელები და ზანისათვები — 65. § 28. ოდენობითი რიცხვითი სახელები — 76. § 29. რიგითი რიცხვითი სახელები — 82. § 30. უკრობითი რიცხვითი სახელები — 84. § 31. შემკრებლობითი რიცხვითი სახელები — 84. § 32. დასაწევრებითი რიცხვითი სახელები — 85. § 33. თანდებულები — 86 § 34. სიტყვაწარმოება სახელებში — 90.

§ 35. პირისა და გრამატიკული კლასის ნიშნები — 92. §36. კუზნატივი — 95. §37. პოტენციალისი — 96. §38. ხმნის რეფლექსური ფორმები — 98. §39. მიმართულების გამომატევილი აუქსები და ხმნის ფუძეთა შემადგენელი ადგილ-მიმართულების გამომატევილი ელემენტები — 102. §40. სტატიკურ ხმნათა აწყყოს წარმოება — 109. §41. დროთა წარმოება დინამიკურ ხმნებში — 120. §42. ხმნის ინფინიტურ ფორმათა საგარემოებო ნაწილაკები — 164. §43. ხმნის კილოები — 170. §44. ხმნის უარყოფითი ფორმები — 180. §45. ხმნის კითხვითი ფორმები — 186. §46. აბსოლუტივი — 196. §47. -ხ სუფიქსი ხმნაში — 203. §48. სუბდასხვა ნაწილაკები ხმნაში — 204.

VII. *ზმნისართები — Наречия* 206

§ 49. ხმნისართები — 206.

VIII. *სინტაქსი — Синтаксис* . 212

§ 50. კავშირები — 212. § 51. სხვათა სიტყვა — 214. § 52. დადასტურებისა და უარყოფის სიტყვები — 214. § 53. შორისდებულები — 215. § 54. შეთანხმება — 215.

IX. *ლექსიკა — Лексика* . 216

§ 55. აშხარული დიალექტის ლექსიკური შემადგენლობა — 216.

X. § 56. აშხარული დიალექტისა და მისი კილოკავების ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის — *Место ашхарского диалекта среди других абхазско-абазинских диалектов* 225

აშხარული ტექსტები — АШХАРСКИЕ ТЕКСТЫ

კუვინსკის კილოკავი — *Кувинский говор* 3 (235)

აფხუის კილოკავი — *Апсуйский говор* . 49 (281)

ფსხუელ აშხარელთა მეტყველების ნიმუშები — *Образцы речи ипсхуйских ашхарцев* 74 (306)

რეზიუმე (რუსულ ენაზე) — *Резюме (на русском языке)* . (107) 339

წინასიტყვაობა

შემოქმედებითი მარქსიზმის კლასიკურ ნაწარმოებში „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ ი. სტალინმა მოგვცა ენათმეცნიერების ძირითადი საკითხების ღრმა მეცნიერული გაშუქება.

ენის სტალინური განსაზღვრების საფუძველზე, კერძოდ, შესაძლებელი შეიქმნა სწორი ახსნა მისცემოდა ჟარგონებს, ე. წ. კლასობრივ დიალექტებსა და ადგილობრივ (ტერიტორიულ) დიალექტებს, და გარკვეულიყო თითოეული მათგანის მიმართება საერთო სახალხო ენასთან.

ი. სტალინმა გამოავლინა სრული დაპირისპირებულობა ჟარგონსა („კლასობრივ“ დიალექტსა) და ადგილობრივ („ტერიტორიულ“) დიალექტს შორის, როგორც მათი დამახასიათებელი ნიშნების, ისე საერთო-სახალხო ენასთან მიმართების თვალსაზრისით.

ი. სტალინი აღნიშნავს: „კლასობრივი“ დიალექტები, რომლებსაც უფრო სწორი იქნება ჟარგონები ვუწოდოთ, ემსახურებიან არა ხალხის მასებს, არამედ ვიწრო სოციალურ ზედაფენას. ამასთან მათ არა აქვთ თავიანთი სპეციფიკური გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. ამის გამო ისინი ვერაზღვით ვერ განვითარდებიან დამოუკიდებელ ენებად.

ადგილობრივი („ტერიტორიული“) დიალექტები, პიოქით, ემსახურებიან ხალხის მასებს და აქვთ თავიანთი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. ამის გამო ზოგიერთი ადგილობრივი დიალექტი ერების შექმნის პროცესში შეიძლება საფუძვლად დაედოს ეროვნულ ენას და განვითარდეს დამოუკიდებელ ეროვნულ ენად¹.

მარქსისტული ენათმეცნიერების მიხედვით ადგილობრივ დიალექტს, რომელიც ემსახურება ხალხის მასებს, აქვს თავისი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი.

ი. სტალინი მთელი სისრულით წარმოგვიდგენს ადგილობრივი დიალექტების შესწავლის მნიშვნელობასა და საკურობას ამა თუ იმ ენის ისტორიის, მისი შინაგანი განვითარების კანონთა გათვალისწინების საქმეში.

წინამდებარე ნაშრომში მოცემულია ცდა გამოავლინოს ის თავისებურებები, რაც ახასიათებს აშხარულ დიალექტს (მისი თქმებითურთ); ეს თავისებურებები განიხილოს ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით და გაარკვიოს აშხარული დიალექტის ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის.

ჩრდილოეთ კავკასიაში (მდინარეების: ყუბანის, გუმის და მცირე და დი-

¹ ი. სტალინი. მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები. 1951, გვ. 41—42.

დი იენჯუვის სანაპიროებზე) მოსახლე აბაზების¹ მეტყველება იყოფა ორ, ერთ-მანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებულ, დიალექტად: ტაპანთურ დიალექტად და აშხარულ დიალექტად.

როგორც უკვე გარკვეულია, ტაპანთური დიალექტი მთელი რიგი ენობრივი მოვლენებით უპირისპირდება აფხაზურის სხვა დიალექტებს (აბჟუურს, ბზიფურს, აშხარულს). ჩვენ წინ არის თავდაპირველად არსებული სხვაობაც და სხვაობაც, წარმოქმნილი ამ დიალექტის განვითარების შედეგად. ამ ახალ წარმოებათა ისტორიის გათვალისწინებას მივყავართ სხვა აფხაზურ დიალექტებთან საერთო გრამატიკულ მოვლენებამდე. მიუხედავად ამისა ტაპანთური დიალექტი მაინც უნდა ჩაითვალოს ყველაზე უფრო განსხვავებულ დიალექტად სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის².

ამ სხვაობათა წარმოსაქმნელად სათანადო პირობები არსებობდა. ტაპანთელები საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოწყვეტილი იყვნენ სხვა აფხაზ ტომებთან ენობრივ ურთიერთობას. მაგრამ იმის გამო, რომ ენას არ ახასიათებს ზედნაშენის მაგვარად ერთბაში ცვლილება, იმის გამო, რომ ენის საფუძველი მეტად ნელი ტემპით ვითარდება, ტაპანთურმა დიალექტმა აქამდე შეინარჩუნა აფხაზური ენისათვის დამახასიათებელი გრამატიკული წყობის საფუძვლები და ლექსიკის საერთო ძირითადი ფონდი.

აშხარული დიალექტი მიუხედავად ტაპანთურის ძლიერი გავლენისა მასზე, კიდევ უფრო მეტ სიახლოეს ამჟღავნებს პირაქეთა (სამხარულ) აფხაზურ დიალექტებთან.

ასე, რომ იქმნება აფხაზურ-აბაზურის დიალექტთა ორი ჯგუფი: 1. ტაპანთური და 2. აშხარული, ბზიფური, აბჟუური.

ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე აბაზების უმრავლესობას შეადგენენ ტაპანთელები, რომლებიც კომპაქტურად სახლობენ ჩერქეზთა ავტონომიურ ოლქში და მდინარე გუმის სანაპიროზე 11 ძირითად აულში.

აშხარელები სახლობენ ჩერქეზთა ავტონომიურ ოლქში მდ. იენჯუვის სანაპიროზე შეშდეგ აულებში: ძველ კუვინსკში, ახალ კუვინსკში (ადგილობრივი გამოთქმით—ჟეიჟ), აფსუაში (ყოფ. ჩეგირეჟ) და აბაზაქთში (ყოფ. გ'აბაყეიჟ)³.

ძველი და ახალი კუვინსკი ამ ბოლო ხანებში გამოიყო ერთი საერთო სოფლიდან — კუვინსკიდან. ამიტომ მეტყველების მხრივაც რაიმე სხვაობას ამ აულთა მოსახლეობა არ იძლევა.

კუვინსკთანვე ახლოს არის აული აბაზაქთი, რომელშიც აშხარელები ყაბარდოელებთან ერთად შერეულად ცხოვრობენ. მათ მეტყველებას ემჩნევა ყაბარდოულის დიდი გავლენა. ყაბარდოულ ენაზე მეტყველება მათთვის იმდენად ჩვეულებრივია, რომ ჩვენთან საუბარშიც ხშირად შეუმჩნეველად გადადიოდნენ ყაბარდოულ ენაზე.

¹ აბაზები გაფანტვით გვხვდებიან აგრეთვე ადიღეს ავტონომიურ ოლქსა და ყაბარდოს ავტონომიურ სს რესპუბლიკაში.

² ამ საკითხებზე დაწვრილებით იხ. „ტაპანთური დიალექტი აფხაზური ენისა“, 1944.

³ გაფანტვით აბაზები გვხვდებიან ადიღეს ავტონომიურ ოლქშიც.

კუენისკიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ს. აფსუა. ძირითადი მასა აშხარელებისა წარმოდგენილია კუენისკსა და აფსუაში.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ძირითადი აშხარულა სოფელი ერთმანეთთან მეტად ახლოს მდებარეობს, მათი მეტყველება მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. აბაჯათის მეტყველება ზოგ რამეში მისდევს კუენისკის მეტყველებას, ზოგ რამეში კიდევ — აფსუისას.

ამ 20—25 წლის წინათ კუენისკელი და აფსუელი აშხარელების ერთი ნაწილი (დაახლ. 60 კომლი, აქედან 10 კომლი — ს. აფსუიდან, დანარჩენი — კუენისკიდან) გადმოსახლდა საქართველოს სს რესპუბლიკაში. ისინი დასახლდნენ დაბა ფსხუში (ფსჰო) (გუდაუთის რ., აფხაზეთის ავტ. სს რესპუბლიკა). მათ აქაც შეინარჩუნეს ის ენობრივი თავისებურებები, რაც კუენისკისა და აფსუის თქმებს ახასიათებს.

გარკვეული კვალი დაუჩნევია ფსხუელ აშხარულთა მეტყველებაზე პირაქეთა აფხაზურ დიალექტებს. ამიტომ მათ მეტყველებაში უფრო მეტად იჩენს თავს სამხრული დიალექტებისათვის დამახასიათებელი მოვლენები, ვიდრე სხვა სოფლების მეტყველებაში.

როგორც ტაპანთელები, ისე აშხარელები თავიანთ თავს უწოდებენ აბაჯას. ამავე დროს პირველნი თავიანთ თავს უწოდებენ ტაპანთას, რაც დაბლობის მცხოვრებს ნიშნავს, ხოლო მეორენი აშხარულას (ანჯარულა, აშჯარაჟა), რაც მთიელს ნიშნავს. ამ სახელწოდებას ისტორიული გამართლება აქვს. ისინი დაბლობში (იენჯუგის სანაპიროზე) ჩამოსული არიან კავკასიონის ქედის ფერდობებიდან. აშხარელები თავიანთ თავს უწოდებენ აგრეთვე აფსაჟა-ს, ე. ი. აფხაზს.

ჩერკეზთა ავტონომიურ ოლქში მცხოვრებ აბაჯებს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მიეცათ შესაძლებლობა საკუთარ ენაზე მწერლობის შექმნისა. დამწერლობა შეიქმნა რუსული გრაფიკის საფუძველზე. სალიტერატურო ენას საფუძვლად დაედო ტაპანთური დიალექტი. გამოდის გაზეთი, სახელმძღვანელოები და სხვ.

იმის გამო, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე აფხაზურ-აბაჯურ ენაზე მეტყველ ტომებს აერთიანებს ერთი სახელწოდება აბაჯა და შექმნილი აქვთ საკუთარი სამწერლო ენა აბაჯურის სახელწოდებით, ზოგი მკვლევარი აკეთებს დასკვნას, თითქოს ლინგვისტურადაც აბაჯური მეტყველება აფხაზურისაგან არსებითად განსხვავდებოდეს.

ჯერ ერთი, ყველაზე განსხვავებული დიალექტიც კი — ტაპანთური დიალექტი — არ ქცეულა აფხაზურისაგან განსხვავებულ ენად თავისი ენობრივი საფუძელის მიხედვით. და მეორეც, აშხარული დიალექტი, რომელიც აგრეთვე წარმოუდგენიათ, როგორც აფხაზურის საპირისპირო აბაჯური ენის დიალექტი (ტაპანთურთან ერთად), მეტ სიახლოეს იჩენს თავის არსებით მომენტებში აფხაზურის პირაქეთა (სამხრულ) დიალექტებთან, როგორც ამას ნათელყოფს მათი შედარებითი ანალიზი.

აღნიშნული ვითარება გარკვეულ დაბრკოლებას უქმნის იმ აზრის მიმდევრებს, ვინც თვლის, რომ აშხარული და ტაპანთური წარმოდგენენ დიალექტებს, აფხაზურისაგან არსებითად განსხვავებული აბაჯური ენისაო.

თუ აშხარული დიალექტი შეიძლება ტაპანთურ დიალექტთან ერთ ენად-გაეერთიანოთ, შეიძლება სამხრულ აფხაზურ დიალექტებთანაც მათი გაერთიანება, რადგანაც აშხარული დიალექტი მეტ სიახლოეს ამკლავებს სწორედ ამ სამხრულ დიალექტებთან.

ანეციალურ ლიტერატურაში არ მოიპოვება აშხარული დიალექტის ენობრივ თავისებურებათა მიმოხილვა¹.

აბაზურის დიალექტების მეტყველებას აკვირდებოდა და მასალას აგროვებდა ს. ჯანაშია, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ეს დაკვირვებანი და არც თვით-მასალა ჯერჯერობით გამოქვეყნებული არ არის.

ასევე აშხარულ დიალექტს სწავლობდა ა. გენკო, მაგრამ არც მის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგები გამოქვეყნებულია.

რომ აღარაფერი ვთქვათ აშხარული დიალექტის სრული ენობრივი მიმოხილვის არარსებობის შესახებ, არ მოიპოვება პატარა ტექსტიც კი, ამ დიალექტზე ჩაწერილი.

აშხარული დიალექტის შესწავლას ჩვენ შევეუდეთ ტაპანთური დიალექტის გაცნობის შედეგად. 1939 წლის ზამთარში და 1940 წლის ზაფხულში მოგვიხერხდა დაკვირვება გვეწარმოებინა როგორც კუვინსკის, ისე აფსუსის მეტყველებაზე. ჩაიწერეთ ფოლკლორული ტექსტები ორივე თქმაზე.

გამოვლინდა მეტად რთული ვითარება. სხვადასხვაობა გრამატიკულ მოვლენებში შეინიშნებოდა არა მარტო თქმეების მიხედვით, არამედ თვით თქმაშიც სხვადასხვა მთქმელთა მიხედვით. ერთი და იგივე გრამატიკული მოვლენა წარმოგვიდგებოდა მრავალგვარი ვარიანტით. ტექსტების ჩაწერის დროს ვცდილობდით ყველა ეს თავისებურება აღგვენიშნა, თუმცა ძნელია ვიფიქროთ, რომ ყველა შესაძლო თავისებურება ან ჩვენს მიმოხილვაში, ან ჩვენს ტექსტებში ამოწურვით იყოს წარმოდგენილი.

1941 წ. რამდენიმე დღით ვიყავით ს. აბაზაქთშიაც (რომლის მეტყველება ნარცე ხასიათს ატარებს).

1947 წ. ზაფხულში ვსწავლობდით ფსხუში გადმოსული აშხარელების ნეტყველებას.

ქვემოთ მოცემულია აშხარული დიალექტის — მისი თქმებითურთ — გრამატიკული მიმოხილვა.

გრამატიკულ მიმოხილვაში ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტებზე, რომლებშიც ძირითადად შეინიშნება განსხვავება სხვა აფხაზურ კილო-

¹ ზოგ რაზეს ან მხრივ მკითხველი იპოვის ავტორის შედარებითი ხასიათის მიმოხილვებში, როგორცაა: „Об одной фонетической закономерности в абхазско-абазинских диалектах“ — Известия АН Груз. ССР, 1942 წ. ტ. II, № 8; „ტაპანთური დიალექტი“, 1944; მიზანპირობითი კილოს წარმოებისათვის აფხაზურ დიალექტებში — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. II, 1948, და სხვ.

გ. სერდიუჩენკო სტატიაში „Об абазинских диалектах“ (კრებულში — Памяти акад. Н. Я. Марра, 1936) ცდილობს მიუთითოს ტაპანთურისაგან განსხვავებულ ენობრივ მოვლენებზე აშხარულში, მაგრამ მას სრულიად შეუძინებლად დარჩენია ყველა არსებითი მორფოლოგიური და სხვა თავისებურება, ხოლო ის თავისებურებები, რაზედაც მითითებულია (უმთავრესად ფონეტიკასა და ლექსიკაში), მოკლებულია სისრულესა და, რაც მთავარია, — სინუსტეს.

თქმათაგან. მითითებულია იმ საერთოსა და განსხვავებულზე, რაც ახასიათებს აშხარულს — თქმებითურთ ყველა სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტებთან შედარებით.

მასალად გამოყენებულია ჩვენ მიერ ჩაწერილი ტექსტები, რომელთა დიდ ნაწილს აქვე ვაქვეყნებთ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ტექსტების ჩაწერისას ვცდილობდით დაგვეცვა ინდივიდუალური თავისებურებანიც. ვაქვეყნებთ ტექსტებს ყოველგვარი შესწორების გარეშე ისე, როგორც ჩაწერის პროცესში იქნა ფიქსირებული¹.

ე და ე ხმოვნების წინ რიგი თანხმოვანი ლ, გ, ქ, კ, ხ, ყ, ლ... აფხაზურში საერთოდ მაგრად გამოითქმის, მაგრამ ჩვენ ამას საგანგებოდ არ აღვნიშნავეთ სპეციალური ნიშნით, რადგანაც განმასხვავებელ ნიშნებს ვიყენებთ მხოლოდ ფონემებისათვის.

ტექსტებში ერთგვარობა არაა დაცული, თვით კომპლექსების თავისებურების გამო, ჩვენებითი ნაცვალსახელისა (შუჲ, უჲ...) და ლაბიალიზებული ბგერების გადმოცემისას.

დასასრულ, ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია მადლობით მოვიხსენიოთ ყველა ორგანიზაცია და პირი, რომლებმაც ხელი შეგვიწყო სათანადო მუშაობის ჩატარებაში.

¹ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ პირის ნიშანი ი- ზნაში ზოგჯერ არის წარმოდგენილი მაშინაც, როცა მის წინ უშუალოდ დგას მისი გამომწვევი სახელი. თვით ეს იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ტექსტის ჩაწერის დროს ზოგჯერ მთქმელი ცდილობდა ნელა, გარკვეული პაუზების დაცვით ელაპარაკნა.

ბ რ ა ნ ს ს კ რ ი ფ ც ი ა

ა	ა̄	ა̄	ბ	ბ	ბ̄	ბო	დ	დო	ე	ე̄	ზ
a	ā	ā	b	g	ḡ	go	d	do	e	ē	z
ა ¹	[ā]	[ā]	ბ	რ	რ̄	რვ	ღ	[ღვ]	ე	[ē]	ზ
ზ	ზო	თ	თო		ი	ი̄	ქ	ქ̄	ქო	ლ	ლ̄
z'	zo	t	to		i	ī	k	k̄	ko	l	l̄
[ზ]	[ზვ]	ტ	[ტვ]	ი	[ī]	კ	კ _ლ	კ _ლ ვ	ლ	ლ _ლ	
ლ	ლ	მ	ნ		ო	ო̄	პ	ქ	ქო	ც	ცო
l'	l'	m	n		o	ō	p	q	qo	ts	tso
ლ _ლ	ლ _ლ	მ	ნ	ი	ო	[ō]	პ	კ _ლ		კ _ლ ვ	[კ _ლ ვ] ²
რ	ს	ს	სო	ტ	ტო	უ	უ̄	ფ	ქ	ქ̄	ქო
r	s	s'	so	t	to	u	ū	p	k	k̄	ko
რ	ს	[ს]	[სვ]	ტ	[ტვ]	უ	[ū]	ფ	კ	კ _ლ	კ _ლ ვ
ღ	ღ	ღო	ყ	ყ	ყო	შ	შო	შო	შო	ჩ	
γ	γ̄	γ _ო	ყ	ყ̄	qo	შ	შ _ო	შ _ო	შ _ო	ჩ	
ღ	ღ _ლ	ღ _ლ ვ	კ _ლ	კ _ლ ვ	კ _ლ ვ	შ	შ _ლ	შ _ლ ვ	[შ _ლ ვ] ²	ჩ	
ჩ	ჩ	ც	ც	ცო	ძ	ძ	ძო	წ	წ	წო	ჭ
ch	ch	c	c'	co	dz	dz	dz _o	ch	ch'	cho	ch'
ჩ _ლ	ჩ _ლ ვ	ც	[ც]	[ცვ]	ძ	[ძ]	[ძ _ლ ვ]	წ	[წ]	[წ _ლ ვ]	ჭ
ქ	ქ	ხ	ხ	ხო	ხ	ხო	'ხ	'ხო	ქ	ქ	
ch	ch	x	x'	xo	x	xo	'x	'xv	q	qo	
ქ _ლ	ქ _ლ ვ	ხ	ხ _ლ	ხ _ლ ვ	[x]	[xo]	x(ლ)	x _ლ ვ	x _ლ	x _ლ ვ	
ჯ	ჯ	ჰ	ჰ	ჰო	ჭ	ჭ	(ჰ)	წ	ჭ	ჭ	ჭ
ch	ch	h	h	ho	ch	ch	('o)	w	f	f	v
ჯ _ლ კ	ჯ _ლ კ	ჯ _ლ კ _ლ ვ	ქ	ქ _ლ ვ	ქ	ქ _ლ ვ		ყ	ფ	ფ _ლ	ვ
ღ	ღ	ღ ^ა									
ღ	[,] ²	ღ ^ა									
ღ	ღ	ღ ^ა									

¹ რუსული ტრანსკრიფციისთვის გამოყენებულია აბაზურში ამჟამად მოქმედი გრაფიკა. კუადრატულ ფრჩხილებში ჩასმულია აბაზურ დანწყოლობაში არარსებული ნიშნები.

² მაგარი ლაბორიზებული შიშინა სპირანტები.

³ კართუ - ტრანსკრიფციაში (იხ ტექსტები) ნიშანი ' - აპოსტროფი.

⁴ ა აღნიშნავს მაგარ შემართვას ან დამართვას.

ფ ო ნ ე ტ ი კ ა

თავი I. ფონეტიკური სისტემა

§ 1. ხმოვნები. აშხარული დიალექტი ხმოვანთა მიხედვით რაიმე თავისებურსა და სხვა აფხაზურ დიალექტთაგან (პირაქეთა აფხაზურ დიალექტთაგან) განსხვავებულს არაფერს იძლევა¹. ასევე, სხვა აფხაზურ დიალექტთა მსგავსად აშხარულშიც ფონეტიკურ პროცესთა ნიადაგზე ვიღებთ ა ე ი ო უ ხმოვანთა გრძელ სახეობებსაც:

ჲ სიჲძრჲჳ! — კუფ. 17 — მო-ისმინეთ!

ჲ იზბჲტ -იჰიჲ — აფს. 39 — ის (რალაც) ვნახე-ო

რ ყაისიჰა ღჲჳჲ აჰჲ ინიტ — კუფ. 15 — დიდ მთასთან მივიდნენ

რ : აჲაჲ სცჲტ — კუფ. 10 — იქ მივდივარ

რ : აჲი აჲჲ — აფს. 43 — ეს არის (ესაა)

ოღონდ უნდა ითქვას, რომ ამ რიგის პროცესები (გარკვეულ შემთხვევებში) ფართოდაა გავრცელებული აშხარულს დიალექტში, კერძოდ, მის აფსლურს კილოკავში.

§ 2. წინანისმიერი ლაბიალიზებული სპირანტები. როგორც ცნობილია, აფხაზურ სალიტერატურო ენასა და აბჯურს დიალექტში, რომელზედაც დაფუძნებულია ეს სალიტერატურო ენა, გვაქვს ორი წინანისმიერი ლაბიალიზებული ჴი, ჴი სპირანტი. ბზიფური დიალექტი განარჩევდა და ჴოგი მისი თქმა ახლაც განარჩევს ამათ გვერდით თავისებურ წინანისმიერ ლაბიალიზებულ სპირანტებს, რომელთაც პირობით ჩვენ გადმოვცემთ სი, ჴი ნიშნებით².

თუ აბჯური დიალექტისთვის აში არის როგორც „კარი“, ისე „წიფელი“, ან აჲი — როგორც „ძველი, მოხუცი“, ისე „ძროხა“, ბზიფურისათვის (იგულისხმება ამჟამად მისი ჴოგიერთი თქმა) აში არის „კარი“, ხოლო „წიფელი“ იქნება ასი; აჲი არის „ძველი, მოხუცი“ (დაფიიტ — მოხუცდა, დაბერდა ის [აღამ.]), ხოლო „ძროხა“ იქნება აჴი.

აბჯური დიალექტისათვის ამჟამად დამახასიათებელი ვითარება მეორეული ჩანს. სი, ჴი ბგერებს დაკარგვისადმი ტენდენცია აქვს ბზიფური დიალექტის ჴოგ თქმაშიაც (მაგ., სოფ. ლიხნის მეტყველებაში).

¹ იხ. ავტორის: „აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი ტექსტებითურთ“. 1944, § 3.

² იხ. ტაპ. § 5.

აფხაზური ენის ტაპანთურ დიალექტში ჩვენ დავადასტურეთ წინაენის-მიერ ლაბიალიზებულ სპირანტთა ყველა აქ წარმოდგენილი სახეობა (როგორც ხი, ში, ისე ზი, ჟი), მაგრამ ამ სახეობათა გამოყენებაში აღრევას იკვს ადგილი. კერძოდ, ხი შეიძლება ნახმარი იყოს ში-ს ადგილას და, პირიქით, ში შეიძლება ნახმარი იყოს ხი-ს ადგილას. ასევე, ზი შეიძლება შეგვხვდეს ჟი-ს ადგილას და, პირიქით, ჟი — ზი-ს ადგილას.

მაგრამ ეს ბგერები თავის დროზე ტაპანთურშიაც ბზიფურის მსგავსად რომ უნდა ყოფილიყო განსხვავებული, ნათელი გახდა ე. წ. დელაბიალიზაციის პროცესის დადგენის შედეგად ტაპანთური დიალექტის ფსიფ-კრასნოვოსტონის კილოკავში. გაირკვა, რომ სრულ დელაბიალიზაციას განიცდის ის ბგერები, რომელთათვისაც ამოსავალ სახეობად ივარაუდება ბზიფური დიალექტის ში, ჟი, ხოლო სრული დელაბიალიზაციის პროცესს არ ექვემდებარება ის ბგერები, რომელთათვისაც ამოსავალ სახეობად ივარაუდება ბზიფური დიალექტის ხი, ზი.

მაგალითად, ტაპანთურ დიალექტში ხმარებულმა სახეობებმა: აჯჷში || აჯჷხი „სარკმელი“, ზემო [„ზაისი“-]კარი*(?) ან ჷ(ო)ჷიჯ || ჷ(ო)ჷიჯ — „ახლა“ იმავე დიალექტის ფსიფ-კრასნოვოსტონის კილოკავში შეიძლება მოგვეცეს: , აჯჷში || აჯჷხ¹

ჷ(ო)ჷიჯ || ჷ(ო)ჷიჯ¹

მაშინ როდესაც იქვე ხმარებული აჷი || აჷი („ძროხა“), შიარა || ხიარა („თქვენ“) და სხვ. ასეთ რეფლექსს არ მოგვეცემს (შდრ. ბზიფ. დიალექტის ხიარა, აჷი)².

აშხარული დიალექტის კუვისის კილოკავში იგივე ვითარება დასტურდება, რაც ბზიფურ დიალექტში: გვაქვს, ერთი მხრივ, ში, ჟი, მეორე მხრივ, ხი, ზი.

მაგ.:

ში: აჷი — 2, მთქმ. 15 წ. — კარი

ამჷიჯ... — 7, მთქმ. 15 წ. — დათვიც...

შიარაცარა — 2, მთქმ. 15 წ. — ნადირობა (სანადიროდ)

დჷშიშიარაცოხ. — 11, მთქმ. 35 წ. — ის (აღამ.) რომ ნადირობდა...

შიაჷყა — 1, მთქმ. 17 წ. — წიგნი (წერილი)

აჷიჯდჷყარა — 23, მთქმ. 75 წ. — ზანდუკი

ჷარა ჷაბჷჷშიაღა — 12, მთქმ. 65 წ. — ჩვენი ენით (ჩვენებურად)... და სხვ.

ხი: თააცია ხიაუბ — 4, მთქმ. 15 წ. — შეილები (ოჯახი) შეგვიძინებათ

ხითარაჷი — 5, მთქმ. 15 წ. — თქვენი ჷიშკარი

აჩჷიჯ დჷხიი-ხიი დალაგეტ — № 4. მთქმ. 15 წ. — ბიჷმა სტვენა და-
იწყო

ხიარა ხიდჷუხატ — 1, მთქმ. 17 წ. — თქვენ დაიზარდენით (დიდები გახდით)

¹ შდრ. ბზიფ. დიალექტის აჷი (— *ა კგ-ში, ჷოჷიჯ).

² იხ. ტაბ. § 5.

აძვ ჩაალაღრხისტ — 11, მთქმ. 35 წ. — ის (დედაკ.) წყალში გადავარდა

აცქასიგ — 14, მთქმ. 64 წ. — ყინული და სხვ.

ჟი: თაჟიკჲ ლჲგაჟიკჲ (ი)ჯყან — 4, მთქმ. 15 წ. — ერთი დედაბერი და ერთი ბერიკაცი იყვნენ

ჟოჟჟ — 7, მთქმ. 15 წ. — ახლა

ჟოჟჟანძარა — 11, მთქმ. 35 წ. — აქამდე

ჯუნჯეჟა ჟაბეჟ — 14, მთქმ. 64 წ. — ორმოცდაათი

აჟილარა — 23, მთქმ. 75 წ. — ხალხი

ქოტიალი — 15, მთქმ. 75 წ. — ძველად... და სხვ.

ჴი: აჴი — 4, მთქმ. 15 წ. — ძროხა

ღჴიბარი ღჴიბღრუშობ — 2, მთქმ. 15 წ. — ის (ადამ.) რომ ნახოთ, იცნობთ

აჴიჴან — 3, მთქმ. 15 წ. — ცა

ღლაციჴაჴარნჯს ღლაგეგტ — 11, 35 წ. — მან (ადამ.) მასთან (დედაკ.) ლაპარაკი დაიწყო¹ და სხვ.

ასეთი დაყოფით აღნიშნულ ბგერათა გამოყენება კუეინსკის შეტყველებაში სისტემატურ ხასიათს ატარებს. იშვიათ შემთხვევაში თუ შეგვინიშნავს აღრევა: ერთსა და იმავე სიტყვაში ხან დაგვიდასტურებია ხი, ჴი, ხან — ჴი, ჟი.

მაგალითად:

ლჴმათჴია იზჴეგჯ ოლჴიხჯნ.. 11, მთქმ. 35 წ. — მან (დედაკ.) მთელი თავისი ტანსაცმელი (ტანთ) გაიხადა რა..

იჯამე აააჴიგჯწან... — 12, მთქმ. 65 წ. — მან. (მამაკ.). თავისი ქურკი (ტანთ) ჩაიცვა რა..

ძახხჯ იშოგლსიგჯწა... — 17, მთქმ. 75 წ. — თერძმა მას (დედაკ.) ტანთ რომ ჩააცვა...

დააჩჴეჴიგჯტ — 12, მთქმ. 65 წ. — მან (მამაკ.) ის (ადამ.) ცხენი დან ჩამოსვა

ღჩიგჴილან... 15, მთქმ. 75 წ. — იგი (ადამ), ცხენზე შეჯდა რა...

საყურადღებოა, რომ ერთ-ერთი ჩვენი 36 წლის მთქმელი აღნიშნულ ბგერათა შორის სხვაობას არ ამყარებდა. სისინა ხი, ჴი ბგერები მას სრულებითაც არ გააჩნდა და ამჟღერო ღიალექტის წარმომადგენლის მსგავსად ყვილა შემთხვევაში იყენებდა ჴი-სა და ჟი-ს.

მაგალითად:

ჴიკანჯ სანიათ დააჴიგჯ — 8 — წადით და სანიათი მოიყვანეთ

იჴიარბცონ — 8 — ისინი ნადირობდნენ

¹ თუ განსაკუთრებით გახაზვა არ გვეკრძება ამა თუ იმ გამოთქმისა, სიტყვა-სიტყვის თარგმანს არ ვიძლეოთ.

ჟააშეებთაჟუკ — 8 — ორმოცდაათი („ერგასი“) კაცი (ხალხი)
ივთაცია დრაციაჟოჟტ — 8 — ის (აღამ.) თავის შვილებს ელაპა-
რაქება

აღგაჟო — 9 — ბერიკაცი.

ასევე ჩვენი აბაზაქთელი მთქმელი ყველგან მხოლოდ შიშინა ში, ჟი ბგე-
რებს ხმარობდა.

აღნიშნული გარემოება უნდა მიუთითებდეს კუვინსკის მეტყველების
ქრელ დიალექტურ შედგენილობაზე.

თავისებური ვითარება დასტურდება აზნარული დიალექტის აფსუის კი-
ლოკავში. აქაც თავს იჩენს ფონემათა ისეთი დაყოფა, როგორც ბზიფური
დიალექტისათვის არის დამახასიათებელი. ერთი და იმავე ბგერით არც აქ
გადმოიქცემა აში („კარი“), შიარა („თქვენ“); აჟი („ძველი“), აჟი („ძროხა“). მა-
გრამ აქ პირველ შემთხვევაში (ბზიფური ში, ჟი-ს ადგილას) გამოიყენება თა-
ვისებური (ოდენ აფსუის კილოკავისათვის დამახასიათებელი) განხაკუთრე-
ბული მაგარი სახეობის შიი, ჟი ბგერები (ჩვეულებრივი ში, ჟი-ს გვერდით),
ხოლო მეორე შემთხვევაში (ბზიფური სი, ჟი-ს ადგილას) იგივე სი, ჟი.

მაგ.:

შიი: შიეებთაჟ — 38, მთქმ. 36 წ. — ორმოცდაათი (ერგასი, ნახევარ-ასი)
შიიარაცარა იცე — 37, მთქმ. 21 წ. — სანადიროდ წავიდნენ
აშიილა უნაშელ — 37, მთქმ. 21 წ. — კარით შედი შიგ (სახლში)
შენ (მამაკ.)

აშიი ააპარტენ.. — 39, მთქმ. 50 წ. — კარი გავალთ რა..
იშიიან.. — 37, 35, მთქმ. 27 წ., 22 წ. — ისინი შეშინდნენ რა..
ამეშიი — 35, მთქმ. 22 წ. — დათვი
აშიიიყა — 39, მთქმ. 50 წ. — წიგნი (წერილი)
აშიიარახქია — 35, მთქმ. 22 წ. — ნადირები
სენეშიიინთარაქიჟ — 35, მთქმ. 22 წ. — ჩემს საფლავზე
აჩიჟ ააშიიანდენ.. — 35, მთქმ. 22 წ. — ცხენმა დაილაპარაკა რა..
კატი-შიიიაკ — 35, მთქმ. 22 წ. — მსხვილი ნაწლავი.. და სხვ.

ჟიი: აჟარბჟიი — 31, მთქმ. 15 წ.; 44, მთქმ. 50 წ. — ორბი [ძველი]
ჟიჟიიან — 33, მთქმ. 19 წ. — ახლა
ჟიჟიიიწიილ — 37, მთქმ. 27 წ. — ახლავე
ჟიიი-ჟიასაკ — 33, მთქმ. 19 წ. — ათი ცხვარი
იჟიიიფშაჟან იჟიიიფშმეშახუზ... — 36, მთქმ. 43 წ. — მეთოთხმეტე
დღე-ღამეს

აღგაჟო — 35, მთქმ. 22 წ. — ბერიკაცი
აჟიიიფშ — 35, მთქმ. 22 წ. — ნადირთ ღვთაება
ჟიიილაგუ სემეჟ — 38, მთქმ. 36 წ. — გვარიც მაქვს
ანგლფაჟი — 38, მთქმ. 36 წ. — ძველი ქული...

და სხვა..

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამავე შემთხვევებში, თუმცა უფრო იშვიათად, შეიძლება შევხვდეთ ჩვეულებრივ ში, ფი-საც (ერთსა და იმავე მთქმელთან).

მაგ.:

ში: ანჭში — 41, მთქმ. 50 წ. — მიწა
აშხარსცაჟქია — 38, მთქმ. 36 წ. — მონადირეები.

ფი: თაჟიჟღ ლჭაჟიჟღ — 36, მთქმ. 43 წ. — ერთი დედაბერი და ერთი ბერიკაცი

ლჭაჟიჟღ ღჯან — 31, მთქმ. 15 წ. — ერთი ბერიკაცი იყო

ჭღლჟაჟი — 38, მთქმ. 36 წ. — ძველი ქული... და სხვა.

მეორე მხრივ, სი, ზი გვხვდება შემდეგ სიტყვებში:

სი: სიჯაზ — 37, მთქმ. 27 წ. — თქვენ მართო

აჩიანჯჩა ღჯიჯი! — 35, მთქმ. 22 წ. — შეჯინიბე დაიპირეთ!

სმარა თასიაჟი ღენლაჟია... — 35, მთქმ. 22 წ. — მზემ ჩასვლა („ჩაჟარ-ღნა“) რომ დაიწყო...

ასიწამათა; ასიწა — 35, მთქმ. 22 წ. — ტანსაცმელი

ილჯისალწი — 38, მთქმ. 36 წ. — მან (დედაკ.) ტანთ ჩაიცვა

[ღ]ალხილჯი.. — 38, მთქმ. 36 წ. — მან (დედაკ.) რაც (ტანთ) გაიხალა... და სხვ.

ზი: აჩიანჯჩა იპიატია ზიჟულა! — 44, მთქმ. 50 წ. — მეჯინიბის ნათქვამი ყავით (აკეთეთ)!

აზიჯმსწყა ილე აწასი — 41, მთქმ. 50 წ. — ბეკი თვალში ჩაუჯარდა მას (მამაკ.)

ზი-გიართაჟ უსთუშა — 42, მთქმ. 50 წ. — ძროხის ჯოგს მოგცემ შენ (მამაკ.)

... აზიტ — 41, მთქმ. 50 წ. — მან (რალაცამ) დალია [ის (რალაც)]

იზიჯნ სალგე — 29, მთქმ. 13 წ. — ის (რალაც) შევსვი და გავათავე

იზიმაშ — 33, მთქმ. 19 წ. — ის (რალაც) ნეტავ მოიხარშა?

სიჟაჟიაზა — 37, მთქმ. 27 წ. — ილაპარაკეთ ერთმანეთთან (მოილაპარაკეთ)

აზია — 37, მთქმ. 27 წ. — სიტყვა

აზიჯან — 37, მთქმ. 27 წ. — ცა... და სხვ.

როგორც ამ მასალიდან ირკვევა, ბზიფური დიალექტისათვის დამახასიათებელი წინაენისმიერი ლაბიალიზებული სი, ზი ბგერები დღესაც ცოცხალია აშხარული დიალექტის ორსავე კილოკავში¹. ამასთანავე სათანადო ლექსიკურ

¹ კუინისკის კილოკავში მათ ხშირად ლაბიალობის მომენტის შესუსტება ვხვდებით (ტაპანთურის გავლენით?). აფსულურში მათ თითქოს ზოგჯერ შინის ელფერიც გადაჰრავთ.

მარაგში ბზიფური დიალექტის მსგავსად გამოიყენება განსხვავებული წინაენისმიერი ლაბიალიზებული ბგერები. თავისებურებას ოღონდ ქმნის წინაენისმიერ შავარ ლაბიალიზებულ შიი, ეს ბგერათა არსებობა აფსუის კილოკავში.

არც ერთს სხვა აფხაზურ კილო-თქმაში ჩვენ ეს ბგერები არ შეგვინიშნავს.

მართალია, აშხარული დიალექტის შესახებ თითქმის არაფერი დაწერილა, მაგრამ იმ ერთადერთ ნაშრომშიაც კი, რომელშიაც თითქოს მოცემულია ცდა აბაზურ დიალექტთა ფონეტიკური სისტემის განხილვისა¹, შენიშნულიც არ არის არც ტაპანთურისა და არც აშხარულის წინაენისმიერ ლაბიალიზებულ ბგერათა წყვილები; უკეთ, მათი სისინა სახეობები (სი, ში).

იქვე ავტორი აშხარულ დიალექტში ფონეტიკურ ნიადაგზე გამოყოფს ორ—აფსუისა და კუვინსკის—კილოკავს. საკვირველია, რომ აფსუის კილოკავის ფონეტიკური სისტემისათვის ესოდენ დამახასიათებელი ფაქტი—შიი, ეს ბგერათა არსებობა—შეუნიშნავე რჩება. ფონეტიკური სისტემის მხრივ არსებით სხვაობას აფსუისა და კუვინსკის კილოკავთა შორის სწორედ აღნიშნულ ბგერათა ქონა-არქონა ქმნის. მეტიც ითქმის, შიი, ეს ბგერათა მქონებლობით აფსუის მეტყველება უპირისპირდება აფხაზურის ყველა დანარჩენ კილო-თქმას.

აფსუის კილოკავის მონაცემთა მიხედვით აფხაზურის ფონეტიკურს სისტემაში შეიძლება გვევარაუდნა ჩვეულებრივ შ, ჟ-ს ლაბიალიზებულ სახეობათა გვერდით მაგარ ში, ეს ბგერათა ლაბიალიზებული სახეობებიც.

ამასთან დაკავშირებით ძალზე საყურადღებოა ერთი გარემოება, ტაპანთური დიალექტის ფსიჟ-კრანსოვოსტოჩნის კილოკავში სწორედ იმ შემთხვევებში, რომლებშიაც აფსუურში შიი, ეს გვაქვს, ხდება დელაბალიზაცია და ამ დელაბალიზაციის შედეგად ვიღებთ სწორედ მაგარი სახეობის ში, ეს ბგერებს. ამ ფაქტთა ერთმანეთისაგან გათიშვა ქირს.

მაგრამ ამის მიხედვით მაინც გავიკვირდებოდა საერთო აფხაზური ფონეტიკური სისტემისათვის ამოსავალში დაგვეშვა წინაენისმიერ სპირანტთა მაგარი ლაბიალიზებული სახეობების არსებობა.

ამისათვის წინასწარ რიგი საკითხის გადაწყვეტა იქნებოდა საჭირო. კერძოდ:

1. რითი აიხსნება, რომ ერთსა და იმავე მოქმელს აფსუურში შიი, ეს ბგერათა გვერდით ში, ეს ბგერებიც ახასიათებს (შიი, ეს იკარგვის და იძლევა ში, ეს-ს? სხვადასხვა დიალექტური მონაცემი ირევა ერთმანეთში?).

2. ტაპანთური დიალექტის ფსიჟ-კრანსოვოსტოჩნის კილოკავშიაც კი, რომელშიაც დელაბალიზაციის შედეგად ვიღებთ მაგარ ვარიანტებს, სათანადო ფონემათა ლაბიალიზებულად გამოთქმისას სიმაგრე არ შეინიშნება. რითი აიხსნება ეს?

¹ მედეველაბაში გვაქვს გ. სერდიუნკოს სტატია „Об абазнских диалектах“—კრებულში Сторник памяти ак. Н. Я. Марра. 1938.

3. ტაპანთური დიალექტის იმავე ფსიე-კრასნოვოსტოჩნის კილოკავში ჭი, ჯი, ჩი ლაბიალიზებული აფრიკატები, რომლებიც ტი, დი, თი ხშულთა აფრიკატიზაციის შედეგად არიან მიღებული, დელაბიალიზაციის შემთხვევაში ზემოგანხილულ ში, ში-ს მსგავსად მაგარ ჭი, ჯი, ჩი-ს გვაძლევენ. კითხვა დგას აქაც ამოსაყალიბო მაგარი სახეობები უნდა დაეუშვათ? და სხვ.

ჩვენთვის უდავო ფაქტია აშხარული დიალექტის აფსუის კილოკავისა და ტაპანთური დიალექტის ფსიე-კრასნოვოსტოჩნის კილოკავის სათანადო მოვლენათა შორის კავშირი. აფსუური კილოკავისათვის დამახასიათებელი შიი, შიი ბგერათა გენეზისის საკითხი კი ჯერჯერობით გადაუწყვეტელი რჩება.

§ 3. ენაკბილისმიერი ლაბიალიზებული ხშულები. აფხაზური ენის პირაქეთა დიალექტებს აქვთ ტი დი თი ენაკბილისმიერ ლაბიალიზებულ ხშულთა სამეული. ასეთი სამეული დღეს აფხაზური ენის ტაპანთურ დიალექტში აღარ ჩანს. ტი დი თი ტაპანთურსაც უნდა ჰქონოდა. ისინი აფრიკატიზაციის გზით ცვლილან ჭი ჯი ჩი || წი ძი ცი-დ, რომელთაც შემდეგ ფსიე-კრასნოვოსტოჩნის კილოკავში უკვე დელაბიალიზაციის შედეგად მოუციათ ჭი ჯი ჩი (ან უფრო იშვიათად — წი ძი ცი)¹.

ზემოთ დასახელებულ წერილში გ. სერდიუჩენკო აშხარული დიალექტის ორ, აფსუისა და კუვინსკის კილოკავს სწორედ ამ ბგერათა ქონა-არქონის მიხედვით უპირისპირებს ერთმანეთს. აფსუის კილოკავს ტი დი თი ახასიათებს, კუვინსკის კილოკავში კი ტი დი თი არა გვაქვს, მათ მოუციათ ტ დ თ-ო².

აშხარული დიალექტის კილოკავთა ამ ნიშნით დაპირისპირება არ ხერხდება. როგორც გამოიკვია, წინაენისმიერ ლაბიალიზებულ ხშულთა სამეული — ტი დი თი დღესაც დაცულია როგორც აფსუის, ისე კუვინსკის კილოკავში. პარალელურად ასევე, ორსავე კილოკავში აღგილი აქვს აღნიშნული სამეულის დელაბიალიზაციის პროცესს, რის შედეგადაც ვიღებთ ჩვეულებრივ ტ, დ, თ-ს. კილოკავური სხვაობა იქმნება მიოლოდ ამ ბგერათა დელაბიალიზაციის პროცესის გავრცელების მასშტაბის მიხედვით. კუვინსკის კილოკავში იგი უფროა გავრცელებული, აფსუისაში კი — ნაკლებად. აღნიშნული პროცესის მეტნაკლებად გავრცელებულობას ორსავე კილოკავში განსაზღვრავს მთქმელთა ასაკი.

კუვინსკის კილოკავში ტი დი თი დღესაც ცოცხალია უფროსი თაობის მეტყველებაში (ასე 60—70 წლის ასაკში და ზემოთ). უმცროსი თაობის ენაში (ე. ი. 60 წლის ასაკამდე)³ გაბატონებულია მათი დელაბიალიზებული სახეობები.

¹ იხ. ტაბ. § 5, § 12.

² იხ. მისი „Оп абазинских диалектах“, გვ. 250.

³ ცნობები განეუთვნება 1940 წ.

აფსუის კილოკავშიც ტი დი თი-ს დელაბიალიზაცია ფექტია, ოღონდ დელაბიალიზაცია აქ უკვე ახასიათებს მთქმელებს მხოლოდ 25—30 წლის ასაკამდე. უფროსი ასაკის მთქმელები კი სისტემატურად ტი დი თი-ს იცავენ¹.

მაგ.:

კუვინსკის კილოკავი

1. ტი დი თი დაცულია

- ტი: აჭატია — 12, მთქმ. 65 წ. — საქმელი
 ეოტალა — 12, მთქმ. 65 წ. — ძველად
 იპაიტრა გჯდღრამ, ანბგსთიტრა გჯდღრამ ილჭგიტრა გჯდღრამ — 21, მთქმ. 75 წ. — მან (მამაკ.) რომელი თავადისად აქციოს, არ იცის, რომელი აზნაურისად აქციოს, არ იცის, რომელი გლეხისად აქციოს, არ იცის.
 დქიტეიერ — 14, მთქმ. 64 წ. — იგი (აღამ.) მასზე რალაცაზე შეჯღადა სხე.
 დი: დადილწღერ — 12, მთქმ. 65 წ. — ის (აღამ.) გარეთ გამოვიდა უდიღღზგადა ჟარა? — 12, მთქმ. 65 წ. — შენ (მამაკ.). ვინ გაგიყვანა გარეთ?
 დღღქილახტ — 15, მთქმ. 75 წ. — ის (აღამ.) კვლავ გაემართა... და სხე.
 თი: უმათია აასტო! — 12, მთქმ. 65 წ. — შენ (მამაკ.) მომეც შენი ტანსაცმელი!
 სა მათია ლესესწღერ — 17, მთქმ. 75 წ. — მე მას (დედაკ.) ტანსაცმელი ჩავაცვი... და სხე.

2. ტი დი თი → ტ დ თ

- ტი → ტ: აბლტა — 7, მთქმ. 15 წ. — (და)საწეავი
 იქლთა დლოჯრტან — 4, მთქმ. 15 წ. — მან. (მამაკ.) ის (აღამ.) თავის ქულში ჩაისვა
 იტან იშაძან — 1, მთქმ. 17 წ. — ისინი ისხდნენ და საუბრობდნენ
 აგიბჟანტ — 1, მთქმ. 17 წ. — საშუალო, შუათანა
 იღემჟიერტ ხიენტაგჯ ეანტაგჯ — 8, მთქმ. 36 წ. — მას (დედაკ.) უთხრა მან (მამაკ.) ხუთჯერაც, ათჯერაც
 აბჯარ ეოტა იშემჟე — 10, მთქმ. 36 წ. — ძველი იარაღი რა გაქვთ?
 დჯდტალან ააჟიერტ — 11, მთქმ. 35 წ. — იგი (აღამ.) მას (მამაკ.) მიუჯღა და უთხრა... და სხე.
 დი → დ: ღჯრა იღქილიერტ — 5, მთქმ. 15 წ. — ისინი საქურღღლად გაემართნენ
 აპა ნეჟიარა დღჯილან. დღმიღქიეზ... — 1, მთქმ. 17 წ. — თავადი (მთავარი) სასიარულოდ გაემართა. რომ მიდიოდა (გზაში რომ იყო)..

¹ ცნობები განეკუთვნება 1940 წ.

იდელწა დედგლსიგმშთინ! — 11, მთქმ. 35 წ. — ეინც გარეთ გადის,
(გარეთ) არ გაუშვავთ!
ფშაარე დაადქილეფტ — 8, მთქმ. 36 წ. — საძებრად გამოემარ-
თნენ
დელქიელწიფტ — 9, მთქმ. 36 წ. — მან (დედაკ.) ის (ადამ.) გაუშვა,
გაგზავნა... და სხვ.

თი → თ: თაკ დქწალეფტ — 4, მთქმ. 15 წ. — იგი (ადამ.) თივაში შეძვრა
ასპართ აქვართან.. — 10, მთქმ. 36 წ. — შიგ (რალაცაში) სპირტი
ჩაასხეს რა..
ჰამათაქია ჰათსახუშოტ — 8, მთქმ. 36 წ. — ჩვენი ტანსაცმელები გავ-
ცვალთ
ლმათაქია — 11, მთქმ. 35 წ. — მისი (დედაკ.) ტანსაცმელები... და
სხვ.

დელაბილიზებულ სისტემასვე უქერდა მხარს ჩვენი 69 წლის მთქმე-
ლიც სოფ. აბაზაქთიდან.

მაგ.:

ტი → ტ: დტატ — 27 — იგი (ადამ.) დაჯდა

დი → დ: დდქიუმგალატ — 27 (მამაკ.) ის (ადამ.) გარეთ გამოი-
ყვანა
ამ მხრივ მისი მეტყველება უფრო კუვინსკის კილოკავისკენ იხრება.

აფსუის კილოკავი

1. ტი დი თი დაცულია

ტი: დაქიტიამთა დდებტ — 37, მთქმ. 27 წ. — იგი (ადამ.) ზედ (რალა-
ცაზე) იჯდა რა, დაინახა მან (მამაკ.)

სიტია! — 36, მთქმ. 43 წ. — დასხელით!

აჩანგიართა ზტიზ.. — 36, მთქმ. 43 წ. — რემა ვისაც ეკუთვნოდა..

ამაეი დქიტიან — 44, მთქმ. 50 წ. — ის (ადამ.) ტოტზე იჯდა... და სხვ.

დი: ჰადიქიუმწე — 38, მთქმ. 35, წ. — ჩვენ მან (მამაკ.) გაგვიშვა

სიდეილუმწენ! 39, მთქმ. 36 წ. — არ გახვიდეთ გარეთ!

ადიუნგ — 38, მთქმ. 36 წ. — გარეთ

დანდიულწებ. — 36, მთქმ. 43 წ. — ის (ადამ.) როცა გარეთ გა-
გავიდა..

იდიქილახ — 36, მთქმ. 43 წ. — ისინი გაემართნენ (გაემგზავრნენ)

აქიტალქია აადილავან.. — 39, მთქმ. 50 წ. — კვრცხები (გარეთ)
გამოვიტანეთ რა.. და სხვ.

ათი: სგმათაქია — 38, მთქმ. 36 წ. — ჩემი ტანსაცმელები... და სხვ.

2. ტი დი თი → ტ დ თ

ტი → ტ: დეკაქიტან — 32, მთქმ. 12 წ. — იგი (აღამ.) ზედ იჯდა
 დაქიტან — 31, მთქმ. 15 წ. — იგი (აღამ.) მასზე (რაღაცაზე) იჯდა
 აგიუბენტ — 31, მთქმ. 15 წ. — საშუალო, შუათანა
 უტა!.. საგუტუმ — 33, 19 წ. — დაჯექ (მამაკ.)!.. არ დაეჯდები
 სარა სტ — 33, მთქმ. 19 წ. — ჩემი (ჩემი კუთვნილი)
 დეტან — 35, მთქმ. 22 წ. — იგი (აღამ.) იჯდა
 დაქიტო — 37, მთქმ. 27 წ. — ვინც მასზე (რაღაც.) ზის.. და სხვა

დი → დ: დღქილენ(ა) — 32, მთქმ. 12 წ. — იგი (აღამ.) გაემართა, გა-
 ემგზავრა
 დჰადღწლზხზ.. — 32, მთქმ. 12 წ. — იგი (აღამ.) გარეთ გამოვი-
 და რა...

იღქიღწენ — 31, მთქმ. 15 წ. — მან (მამაკ.) ისინი გაუშვა
 დღღქილან.. — 33, მთქმ. 19 წ. — იგი (აღამ.) გაემართა რა..
 დადღღღრგან — 35, მთქმ. 22 წ. — იგი (აღამ.) გარეთ გამოიყვანეს
 რა..

დღუზადღღზგაპ — 37, მთქმ. 27 წ. — მას (აღამ.) გამოიყვან შენ
 (მამაკ.)... და სხვ.

თი → თ: დაქითან... — 32, მთქმ. 12 წ. — მას (რაღაცას) მიესხა..
 თათაკ — 33, მთქმ. 19 წ. — ერთი ბარძაყი
 ასიწამათა — 35, მთქმ. 22 წ. — ტანსაცმელი... და სხვ.

აქა-იქ ორსავე კილოკავში შესაძლოა დავადასტუროთ ერთისა და იმავე
 მთქმელის ენაში ტი დი თი სამეულის როგორც ლაბიალიზებული, ისე დე-
 ლაბიალიზებული სახეობები (ესეც თავის მხრივ იმას მოწმობს, რომ ტი დი
 თი-ს დელაბიალიზაციის პროცესი ერთდროულად მიმდინარეობს ორსავე კი-
 ლოკავში. იგი არცერთ მათგანში დამთავრებული არაა).

მაგ.:

დღღქილახტ — კუვ. 14, მთქმელი 64 წ. — იგი (აღამ.) გაემართა.

შღრ. ამავე მთქმელის ენაში:

დააქითიფტ — კუვ. 14, მთქმელი 64 წ. — იგი (აღამ.) წამოჯდა

დაქითიფტ — კუვ. 14, მთქმელი 64 წ. — იგი (აღამ.) ზედ (რაღაცაზე)
 დაჯდა.. და სხვ.

ჯტოღს ბზია — კუვ. 8, მთქმ. 36 წ. — კარგი აღამიანი.

შღრ. ამავე მთქმელის ენაში:

აბჯარ ჟიტა — კუვ. 10, მთქმ. 36 წ. — ძველი იარაღი

ხიენტაგუ, ჟიანტაგუ — კუვ. 8, მთქმ. 36 წ. — ხუთჯერაც, ათჯერაც

პაშათაქი — კუვ. 8, მთქმ. 36 წ. — ჩემი ტანსაცმელები... და სხვ.

აშა ააკათიქა — აფს. 33, მთქმ. 19 წ. — სისხლი გადმოიღვარა
შღრ. ამავე მთქმელის ენაში:

ჟითაქ — აფს. 33, მთქმ. 19 წ. — ერთი ბარძაყი

უტბ — აფს. 33, მთქმ. 19 წ. — დაჯექ (ნამაკ.)

დღღქილან... — 33, მთქმ. 19 წ. — იგი(ადამ.) გაემგზავრა რა.. და სხვ.

სა დღტოუბ — აფს. 37, მთქმ. 27 წ. — იგი (ადამ.) მე მეკუთვნის

აჯღთჟს — აფს. 37, მთქმ. 27 წ. — ადამიანი.

დაადიღლწ — აფს. 37, მთქმ. 27 წ. — ის (ადამ.) გარეთ გამოვი
და.. და სხვ.

შღრ. ამავე მთქმელის ენაში:

დადტალოპ — აფს. 37, მთქმ. 27 წ. — იგი (ადამ.) მას (რალაცას)
უზის

აგებქანტ — აფს. 37, მთქმ. 27 წ. — საშუალო, შუათანა

დღღქილემტ — აფს. 37, მთქმ. 27 წ. — იგი (ადამ.) გაემართა.
და სხვ.¹

როგორც აქ წარმოდგენილი მასალიდან ირკვევა, აფსუსისა და კუვინსკის კილოკავთა არა თუ დაპირისპირება შეიძლება ტი და თი სამეულის მიხედვით, არამედ, პირიქით, მათში დადასტურებული ტი და თი-ს დელაბიალიზაციის პროცესი ის არსებითი ნიშანთაგანია, რომლითაც ერთ დიალექტად ერთიანდება ეს ორი მრავალ მომენტში მნიშვნელოვნად განსხვავებული მეტყველება.

საერთოდ საყურადღებოა ტი და თი-ს დელაბიალიზაციისა და დაკარგვის ტენდენციის არსებობა აშხარულ დიალექტში. ტაპანთურშიაც ამ სამეულმა განიცადა ცვლილება. ტი და თი იქაც დაიკარგა, ოღონდ იქ აფრიკატად ქცევის შემდეგ მივიღეთ გარკვეულ კილოკავში დელაბიალიზებული სახეობები (ქჷ, ჯჷ, ჩჷ).

§ 4. ლარინგალური სპირანტები. ფშვინვიერი ჰ, ჰი — ლარინგალური სპირანტების მყდერი ჰ, ჰი წყვილეულები¹ აფხაზურის პირაქეთა დიალექტებში ცვლილან: პირველს მოუცია აა || ა, მეორეს — ჯ². ტაპანთურს დიალექტში დღემდე დაცულია მათი ძველი სახეობა. აქა-იქ ტაპანთურშიაც განუცდიათ მათ ცვლილება, მაგრამ აქ ამ ცვლილების შედეგად უმთავრესად ლ, ლი რეფლექსს ვიღებთ³.

¹ თუ სხვა მთქმელებთან ამ ბგერათა გამოყენებაში აღრევას მხოლოდ თითო-ორთა შემთხვევაში ვადასტურებდით, ამ მთქმელის ენაში მას სისტემატურად ვამჩნევდით.

² აღნიშნული ბგერები სპეციალურ ლიტერატურაში წინხეული იყო ფარინგალურ სპირანტებად. ა. ჩარგინიშვილის ექსპერიმენტულმა გამოკვლევამ ნათქვამი, რომ ისინი იწარმოებიან ზორობში და ამდენადვე, როგორც ა. ჩარგინიშვილი ფიქრობს, უფრო უხსტი იქნება მათ ლარინგალური (ზორობისმიერი) ბგერები ეწოდოთ.

³ იხ. ტაპ. § 5.

⁴ იხ. ტაპ. § 5: § 23. ე: 64—65.

აშხარულს დიალექტში ზ-ს შესახებ გ. სერდიუჩენკო წერს: აფხაზური ენის დიალექტების მსგავსად აშხარულშიაც ზ-ს აა მოუციოა¹. ეს მტკიცება ზუსტად არ გამოხატავს არსებულ ვითარებას. გამოდის, რომ, ჯერ ერთი, აშხარულს დიალექტში ზ სრულებით არა გვაქვს. მეორეც, აშხარული დიალექტის ორსავე კილოკავში ამ მხრივ აბსოლუტურად ერთნაირი მდგომარეობაა.

აშხარულს დიალექტში სპირანტული ელემენტის შესუსტება ეტყობა როგორც ზ-ს, ისე მის მელერ ზი-სახეობასაც.

აფხაზურის პირაქეთა დიალექტთა მსგავსად ზ(ა)-ს გარკვეულ შემთხვევებში მოუციოა აა || ა, ზი-ს — ა².

კუენისკის კილოკავში ზ(ა)-ს აა || ა-დ და ზი-ს ა-დ ქცევის პროცესი თითქმის დამთავრებულია. აქა-იქ-ლა თუ შეენიშნავთ ზი-ს არსებობას, ისიც უფროსი თაობის მეტყველებაში.

მაგ.:

ჰა → აა || ა:

საამანწიკ — კუე. 2, მთქმ. 15 წ. — ჩემ მოსვლამდე

ნაურკ... ააშებლემტ — კუე. 2, მთქმ. 15 წ. — სინათლე... შემოვი-
და (სახლში)

აქვია ათებხენ.. — კუე. 2, მთქმ. 15 წ. — მან (მამაკ.) თავისი ხმა-
ლი ამოილო (ამოაგო) რა..

ითააცაქიაგჯ მარგჯ — კუე. 1, მთქმ. 17 წ. — მისი (მამაკ.) შეი-
ლები და (ოჯახი და) თვითონ

ქუეინანძარა — კუე. 11, მთქმ. 35 წ. — აქამდე (ამ დრომდე)

დანაადგლწ.. — კუე. 10, მთქმ. 36 წ. — იგი (აღამ.) როცა გარეთ
გამოვიდა..

ჰაბა დააგლარი.. — კუე. 14, მთქმ. 64 წ. — მამაჩენი რომ აღგეს...

აზუდტ — კუე. 15, მთქმ. 75 წ. — იგი (რალაც) ჩვენ მოეხარშეთ

უფსაადტ! — კუე. 20, მთქმ. 75 წ. — შენ (მამაკ.) მოკვდი!

დაადიღლწდტ მარგჯ — კუე. 12, მთქმ. 65 წ. — იგი (აღამ.) გარეთ
გამოვიდა.. და სხვ.

ჰი → ა:

აჰაგჯ იკლსტ — კუე. 6, მთქმ. 15 წ. — ორიენი გაძვრენ (გავი
დნენ) შიგ

აჰგჯ შააყ იზჯჯტ — კუე. 1, მთქმ. 17 წ. — ბატონსაც (მთავარსაც)
წერილი მისწერეს.

აჯჯა — კუე. 1, მთქმ. 17 წ. — ორი (აღამიანი)

რჯხაცა — კუე. 11, მთქმ. 35 წ. — მისი (მამაკ.) ამხანაგები

ჯტაეს-პჯია — კუე. 8, მთქმ. 35 წ. — კარგი აღამიანი

¹ იხ. მისი Об афх. диалектах, გვ. გვ. 249, 251.

² შერ. ტპ. § 6, გვ. 23; § 23, ვვ. 64

იჯუცია ღრაციაჟიოჲტ — კუჟ. 8, მთქმ. 35 წ. — თავის ორ ვაჟს
ელაპარაკება (ესაუბრება) ის (მამაკ.)

ჯნჯეჟა ეჟაბეჟ — კუჟ. 14, მთქმ. 64 წ. — ორმოცდაათი

ჯნჯეჟა — კუჟ. 15, 75 წ. — ორმოცი

სეცი ჩმაზავუბ — 20, მთქმ. 75 წ. — ჩემი ხარი ავალაა

აბლ'აჟს — 23, მთქმ. 75 წ. — გველეშაპი

იფრუჯტახზ — კუჟ. 17, მთქმ. 75 წ. — მეოთხე (ადამიანი).

ამ უკანასკნელ ორ მთქმელთან ზი-ც შეგვხვდა. და სხვ.

მაგ.:

ბმჟია — 15, მთქმ. 75 წ. — გზა

ჰიადღტ — 23, მთქმ. 75 წ. — ორმო (უფსკრული)

უჲ დჰიგციგ'ადრუბ — 14, მთქმ. 64 წ. — ის ძალზე ცუდი ადა-
მიანია

ჰიეტეჰიეტსკ — 14, მთქმ. 64 წ. — ერთი ადამიანი

ეს მთქმელი (64 წ.) აწიჟან-სიტყვაში („სარი“) ამბობდა აწილჯან-ს
(იხ. 14).

ათსუის კილოკაეშიაც ჰ(ა)-ს აა || ა-დ და ჰი-ს ჯ-დ ქცევის პროცესი პი-
რაქეთა აფხაზური დიალექტების მსგავსად უკვე დაწყებულა, მაგრამ ერთი
და იმავე მთქმელის მეტყველებაში მეტ-ნაკლები სისტემატურობით დასტურ-
დება ჰ და ჰი-ც.

მაგ.:

ჰ(ა) → აა || ა:

ლაბა ღტუჟ ააჲხიან.. — აფს. 32, მთქმ. 12 წ. — მან (მამაკ.) დიდი
ჯოხი აილო რა..

დააგლარი იჟუშინ — აფს. 32, მთქმ. 12 წ. — იგი (ადამ.) რომ
ამღვარიყო, შეჰამდა მას (რაღაც.)

..ააჲტ(ა) — აფს. 31, მთქმ. 15 წ. — მან (მამაკ.) (რაღაც) მოი-
ტანა

..ააჲაუნ — აფს. 33, მთქმ. 19 წ. — მან (მამაკ.) (რაღაც) იშოვა

ღგტ'ზმაჲტ — აფს. 35, მთქმ. 22 წ. — იგი (ადამ.) ვერ მოვიდა

ჲშოტ'ჲხუნ.. — აფს. 35, მთქმ. 22 წ. — მან (მამაკ.) ის (რაღაც) აი-
ლო რა..

ლაარ'შოჲტ — აფს. 35, მთქმ. 22 წ. — მან (მამაკ.) ის (ადამ.) გა-
მოუშვა

ჲარ'ჰჰეტოტ — აფს. 37, მთქმ. 27 წ. — მან (მამაკ.) მათ დაუძახა

დაადიგლწ — აფს. 37, მთქმ. 27 წ. — იგი (ადამ.) გარეთ გამოვიდა

..აალსიღხუნ.. — აფს. 38, მთქმ. 36 წ. — მან (დედაკ.) რაც ტანთ
ვაიხალა..

ღრააზუნ — აფს. 36, მთქმ. 43 წ. — მას (ადამ.) ისინი ზრდიდნენ.

აჩარა-ზირა ნელგარააკ.. — აფს. 36, მთქმ. 43 წ. — ქამა-სმას რომ მორ-
ჩებიან...
დააკაძგლუტ — 44, მთქმ. 50 წ. — იგი (აღამ.) მას (მამაკ.) თავს წა-
მოდგა... და სხვ.

ჭა → ჯ:

ბბაჯქაგ² — აფს. 29, მთქმ. 13 წ. — ძვლებიც
აღგ²ა ჯნ² — აფს. 34, მთქმ. 19 წ. — „ადილეური“ სახლი
იჯნაცია — აფს. 35, მთქმ. 22 წ. — მისი (მამაკ.) ამხანაგები
ღჯმაზაჯხ² — აფს. 35, მთქმ. 22 წ. — იგი (აღამ.) ავად გახდა
აიჯ — 37, მთქმ. 27, წ. — ცხენოსანი
სიჯჯჯა — აფს. 37, მთქმ. 27 წ. — თქვენ ორთავე
რჯნაქ² — აფს. 37, მთქმ. 27 წ. — მათ სახლში
ხჯფაცია — აფს. 37, მთქმ. 27 წ. — სამი ვაქ(ებ)ი
ბჯჯნტა — აფს. 36, 43 წ. — საგზალი
ბეჯან-ბეჯმ²მ² ეყჯმჯმსჯ.. — აფს. 36, მთქმ. 43 წ. — შეიდი დღე-
ღამე სადაც იარეს (რომ გაიარეს)...
ღმჯმჯმსან — აფს. 44, მთქმ. 50 წ. — ის (აღამ.) მგზავრობდა..
და სხვ.

ამავე მთქმელთა ენაში დასტულოდება ჯ(ა), ჯი(ი).

მაგ.:

ჯ(ა):

ღჯადღწჯხჯ.. — აფს. 32, მთქმ. 12 წ. — იგი (აღამ.) (კვლავ) გა-
რეთ გამოვიდა რა..
ღანჯათშ²ჯ.. — აფს. 31, მთქმ. 15 წ. — მან (აღამ.) რომ გამო-
იხედა..
ღჯანჯან.. — აფს. 31, მთქმ. 15 წ. — მან (მამაკ.) ის (რაღაც) მოი-
ტანა რა..
ღჯამღან.. — აფს. 33, მთქმ. 19 წ. — მან (მამაკ.) შემოიარა (ძებ-
ნა) რა..
იჯჯამან? — აფს. 33, მთქმ. 19 წ. — გესმა, გაიგონე შენ (მამაკ.)?
ღჯანხ² — აფს. 35, მთქმ. 22 წ. — იგი (აღამ.) დარჩა
ღჯალბე — აფს. 35, მთქმ. 22 წ. მან (ღელაკ.) იგი (აღამ.) (მო)-
ღანინახა
ღჯბბჯან — აფს. 37, მთქმ. 27 წ. — იგი (აღამ.) თავდაპირველი (ქე-
ციანი) იყო
..სჯჯჯა! — აფს. 38, მთქმ. 36 წ. — მომიტანე (რამე)!
აჩანგაირთა ჯჯარცან.. — აფს. 36, მთქმ. 48 წ. — რემა მორეკეს რა..
ღჯარულღარი.. — აფს. 36, მთქმ. 48 წ. — იგი (აღამ.) მათში რომ
გაერიოს..
აჯჯაქია — აფს. 36, მთქმ. 48 წ. — ხალხი („ხალხები“)
ჯათუნ ჯან ჯჯბ² — აფს. 39, მთქმ. 50 წ. — გაზაფხულის ქამს ვნა-
ხეთ (რაღაც)..
და სხვ.

ჭი:

- მჭიაკ — აფს. 32, მთქმ. 12 წ. — ერთი გზა
დაყჭიანლაზ.. — აფს. 32, მთქმ. 12 წ. — იგი (აღამ.) სადაც
ცხოვრობდა („სახლობდა“)...
იჭიანახუზ... — აფს. 35, მთქმ. 22 წ. — მეორედ...
აჭიჭიკჯ — აფს. 27, წ. — ექვსივენი
ჩიჭიკ — აფს. 37, მთქმ. 27 წ. — ერთი ცხენოსანი
სუჩიანაჭიხ — აფს. 37, მთქმ. 27 წ. — ავად გაეხდი
ბუჭიენჯ — აფს. 36, მთქმ. 43 წ. — საგზალი
ჭიჭიანთა ინაარხიაზ — აფს. 36, მთქმ. 43 წ. — ეინც ამხანაგიდ
აიყვანეს...
ჭიჭიანჯ — აფს. 44, მთქმ. 50 წ. — შემდეგ, კვლავ, მერე..
და სხვ.

აშხარულს დიალექტში (განსაკუთრებით მის აფსუურს კილოკავში) დღესაც დაცულია ჭ, ჭი ბგერები. მათ ცვლილება აქაც განუცდიდათ, ოღონდ საყურადღებოა, რომ ეს ცვლილება იმავე გზით მიდის, რა გზითაც იგი წავიდა აფხაზური ენის პირაქეთა დიალექტებში (შდრ. საწინააღმდეგო რეფლექსი ტაპანთური დიალექტის ფსიე-კრასნოვოსტოჩნის კილოკავში: ჭ → ღ; ჭი → ღი)¹.

§ 5. ფარინგალური ხშულები. აფხაზურის პირაქეთა დიალექტებში ჯ (და მისი ლაბიალიზებული ჯა სახეობა) დღეს აღარ მოგვეპოვება. ბზიფურ დიალექტში იგი ჯ (ჯი) ბგერით შეცვლილა. აბუურში კი ჯ (ჯი) ბგერას დამთხვევია. აშხარულის ორსავე კილოკავში, ტაპანთურის მსგავსად², ჯ, ჯი დაცულია.

მაგ.:

- დჯალახტ — კუვ. 4, მთქმ. 15 წ. — ზედ (ზემოთ) ავიდა ის (აღამ.)
ჭოჯკ — კუვ. 2, მთქმ. 15 წ. — ერთ ღამეს
იჯამჯ — კუვ. 12, მთქმ. 65 წ. — მისი (მამაკ.) ქურჭი
რაციან იჯაჟ! — კუვ. 1, მთქმ. 17 წ. — რაოდენ ტკბილია!
დაჯენაჟ.. — კუვ. 10, მთქმ. 36 წ. — იგი (აღამ.) მობრუნდა რა..
აჯჯა — აფს. 32, მთქმ. 12 წ. — საბანი
დჯაგან — აფს. 31, მთქმ. 15 წ. — იგი (აღამ.) გიყი იყო
..რჯაჯ.. — აფს. 35, მთქმ. 22 წ. — ისინი ცალკე (მარტო)..
სიჯაჯ — აფს. 37, მთქმ. 27 წ. — თქვენ მარტო..
დააჯაქგელეტ — აფს. 44, მთქმ. 50 წ. — იგი (აღამ.) მას (მამაკ.)
თავს წაადგა...
აჯიში — კუვ. 2, მთქმ. 15 წ. — წამალი
.რჯიდა — კუვ. 3, მთქმ. 15 წ. — მისი (მამაკ.) კისერი

¹ იხ. ტაპ. § 23, გვ. 64 — 65.

² იხ. ტაპ. § 7; § 23 (გვ. 63).

ჰაჯაჯ შტან — კუვ. 10, მთქმ. 36 წ. — (ძირს) ერთი ქვა ეგლო...
და სხვ.

აქა-იქ ჯ, ჯი ბგერებმა აზხარულს დიალექტშიაც შეიძლება მოგვეცეს იგივე რეფლექსი, რაც გვაქვს ბზიფურს დიალექტში (ზ, ზი). ასეთი მათი შენაცვლება უფრო დამახასიათებელია კუენისკის კილოკავისათვის, აფსუის კილოკავში ჩვენ ის შევნიშნეთ მხოლოდ ერთი მთქმელის მეტყველებაში.

ზემოდასახელებულ მთქმელთა ენაში ჯ, ჯი-ს პარალელურად გვხვდება ზ, ზი-ც.

მაგ.:

იხენპიენ.. — კუვ. 8, მთქმ. 36 წ. — ისინი დაბრუნდნენ რა..

იხიდა — „ 3, 15 წ. — მისი (მამაკ.) კისერი

იხაზუ — აფს. 37, „ 27 წ. — იგი (მამაკ.) მარტო..

ახაბეჯ — „ — ქეციანი... („თავ-წამხდარი“)
და სხვ.

ჯ, ჯი-ს ასეთი ცვლილება შეინიშნებოდა ტაპანთური დიალექტის კრასნოვოსტოჩნის თქმაშიაც¹.

ამ რიგის მკვეთრი ყ, ყი ბგერები, ისე როგორც აფხაზურის პირაქეთა დიალექტებში, არავითარ ცვლილებას არ განიცდიან აზხარული დიალექტის არცერთ კილოკავში. ტაპანთურს დიალექტში კი, როგორც ცნობილია, გარკვეულ შემთხვევაში ყ შეცვლილა ც- ბგერით².

§ 6. კბილ-ბაგისმიერ სპირანტთა ხამეული. კბილ-ბაგისმიერ სპირანტთა ხამეული ვ ჭ ჭ, როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს სათანადო ადგილას³, ახასიათებს აზხარული დიალექტის ორსავე კილოკავს.

არის:

ღღვატან — კუვ. 2, მთქმ. 15 წ. — იგი (ადამ.) მის (მამაკ.) გვერდით იჯდა

აწლა დავაგლან დჷანბნე — აფს. 35, მთქმ. 22 წ. — იგი (ადამ.) ხის გვერდით მდგომარე დარჩა

ეიფა — კუვ. 2, მთქმ. 15 წ. — თექვისმეტი

ჟ-მეწე — აბაზაქთი, 27, მთქმ. 69 წ. — ექვისი დღე

უა ეფში ააზხბესა ჟუპ — კუვ. 25, მთქმ. 75 წ. — ასეთი რომ ის-როლა, (ის) მეხია

აჟ რან დეზ-აცაფჰაუპ — კუვ. 25, მთქმ. 75 წ. — ქექა-ქუხილის (ელვა-ქუხილის) ღვთაება რცხილის ასულია. და სხვ.

ის ერთადერთი სიტყვაა („წერილი“), რომელშიაც ჭ ბგერა დასტურდება. ხოლმე აფხაზურში, აზხარულის ორსავე კილოკავშიაც ა-ჟა-ს სახეს ატარებს.

¹ იხ. ტაბ. § 7, § 23 (გვ. 63). იქ ზ, ზი — გადმოცემულია ასე: ხი, ხიი.

² იხ. ტაბ. §. 7, § 23 (გვ. 62—63).

³ იხ. „Об одной фонетической закономерности в абхазско-абазинских диалектах“ — Сообщения АН Груз. ССР, т. III, № 8, 1942 г.

ამ მხრივ აშხარული დიალექტი ტაპანთური დიალექტის საწინააღმდეგოდ მისდევს აფხაზური ენის პირაქეთა დიალექტებს.

როგორც ირკვევა, ვ ჭ ჭ სპირანტთა სამეული აშხარულსა და აფხაზურის პირაქეთა დიალექტებში ჩამოყალიბებულა ლაბიალიზებულ ძი ცი წი აფრიკატთა ცვლის შედეგად. იმავე აფრიკატთა დელაბიალიზაციის შედეგად სხვა რეფლექსი მიგვიღია ტაპანთურს დიალექტში (ძ ც წ) ¹.

§ 7. ლაბიალიზებული აფრიკატები. აშხარული დიალექტის ორსავე კილოკავში პირაქეთა დიალექტების მსგავსად გვხვდება მხოლოდ ს ი ს ი ნ ა ლ ა ბ ი ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი ა ფ რ ი კ ა ტ ე ბ ი — ძ ი ც ი წ ი (შდრ. ტაპანთურ დიალექტში ამათ გვერდით ჯი ჩი ჭი -ც) ².

აღსანიშნავია ოლონდ ერთი: კუენისკის კილოკავში დასახელებულ ბგერებს (ძი ცი წი) ტაპანთური დიალექტის მსგავსად ზოგჯერ ემჩნევათ ლაბიალობის ოდნავ შესუსტებაც. სოფ. აბაზაქთისა და სოფ. აფსუის მეტყველებაში ამ მხრივ მეტ სიმტკიცეს აქვს ადგილი.

§ 8. ადიღურ ენათაგან მომდინარე ბგერები. ტაპანთური დიალექტის მსგავსად აშხარულშიაც გვხვდება რიგი ადიღური ბგერა³. ისინი იხმარებიან ადიღურ ენათაგან ნასესხებ სიტყვებში (თავად სიტყვა შეიძლება ზოგჯერ ადიღური წარმოშობისა არც იყოს).

ასეთი ბგერებია:

1. ლატერალურ სპირანტთა სამეული ლ ლ ლ'.

მაგ.:

ლ:

აბლ'აზა—კუვ. 2, მთქმ. 75 წ.—გველეშაბი

ამალ—კუვ. 2, მთქმ. 75 წ.—საშუელი

ჰალ'აქ—აფს. 35, მთქმ. 22 წ.—განადგურება... და სხვ.⁴

ლ':

ლ'აპუ: ჯტკგს ლ'აპუ—აფს. 37, მთქმ. 27 წ.—ტომი: ადამიანის ტომი

ლ'აჩა: დაგ'ლაჩო — აფს. 43, მთქმ. 50 წ. — კოქლი: იგი (ადამ.)
კოქლიც არის

ქანაკალ'ა—აფს. 43, მთქმ. 50 წ.—სასაცილო

ალ'ანჯია: რლ'ანჯიაქა -- კუვ. 1, მთქმ. 17 წ. — მხარე: მათი
მხარეები (გვერდები)... და სხვ.

¹ ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ზემოთ აღნიშნულ სტატიაში.

² იხ. ტაპ. § 7.

³ იხ. ტაპ. § 9.

⁴ იმავე მთქმელთა ენაში პარალელურად ვხვდებით ჩვეულებრივ აფხაზურ ლ-საც. მაგ.: ჰაჰლა — კუვ. 21, მთქმ. 75 წ.—ენმაკობა (შდრ. ყაბ. ჰილ'ა).

ალამათ: ალამათნე იბემტ—კუვ. 8, მთქმ. 36 წ.—საოცრება: საოცრებად ნახა (ეჩვენა). შდრ. ყაბ. (ფ)ალ'ამშთ.

აყაბლა: არი აყ:ბლ'ალა რყოქ.—კუვ. 23, მთქმ. 75 წ.—მხარე: ამ მხარეზეა ის (ჩა-ლაც).. (შდრ. ყაბ. ჰა:ბლ'ან).. და სხვ.

შ.:

ლ'ზხიფაგია — კუვ. 11, მთქმ. 35 წ. — (გმირის სახელია)
 აბუბექ'ტრ დან დღღზძრჯენ, (|| ღადააჰილეგტ) — კუვ. 18, მთქმ.
 ბზარა აჩხილეგტ... 75 წ. — აბუბექირმა დედას დაუ-
 ჯერა (გაუგონა) და იხიერა (სი-
 კეთე გამოილო, ისარგებლა)
 (ადილ. გეხილ'ან — შემთხვევა)... და სხვ.

2. შუაენის მიერი სპირანტები 'ხ 'ხი.

აშხარულშიაც ტაპანთურის მსგავსად ადილურ 'ხ ბგერას 'ხ-ს სახე
 მიუღია¹.

გვხვდება შემდეგ შემთხვევებში:

ა'ხ'აკიაგ'ჯ — კუვ. 11, მთქმ. 35 წ. — ვაყა ცხენი (კვიცი) [შდრ.
 ადილ. 'ხაკიან]

აჟუჟ ზაკი-ხ'ახიჟ აკამბუშ-დღუ — კუვ. 7, მთქმ. 15 წ. — ეს რა გო-
 შტაგაიანგ იზღ'რ?
 ლიათია (ძლიერია), დიდი კამეჩი რომ
 წაუქცევია და ქამს?

აჟუჟ (ა)პკუბ დღზრ'ხ'ახიჟ — აფს. 34, მთქმ. 27 წ. — ესაა, რაც
 აძლიერებს მას (ადამ)...
 აარე ი'ხ'ახი (!?) — კუვ. 12, მთქმ. 65 წ. — მისი (მამაკ.) სამშობლო
 [შდრ. ადილ 'ხაკი]

ბანა'ხ'ას — კუვ. 2, მთქმ. 15 წ. — (საკუთარი სახელია)
 აფჰიგსთა ინგლბა დღმ'ხ'ჯენ — კუვ. 2, მთქმ. 15 წ. — ქალიშვილმა ის (რალაც)
 რომ დანიხა, დაიბნია. ამა'ხ'რა — დაბნედა [შდრ. ადილ. მა'ხ'ჯენ]

სალამ ჟედბურ'ხ'ჯტ — კუვ. 12, მთქმ. 65 წ. — ერთმანეთს მიესალმნენ
 [შდრ. ყაბ. სალ'ამ ამა'ხ'ჯენ]... და სხვ.

რუსულ „პატრონ“ (ХОЗЯИН) სიტყვაში აშხარულშიაც ტაპანთურის
 მსგავსად ისეთივე ბგერა ისმის, როგორიცაა ადილ. 'ხ': ა'ხაზენ (კუვ. 16,
 მთქმ. 75 წ.)

ყაბ. 'ხი — ზემოგანხილული ყაბარლოული ბგერის ლაბიალიზებული სახე-
 ობა — 'ხი-დვე რჩება აშხარულშიაც².

მაგ.:

'ხითინღა — კუვ. 23, მთქმ. 75 წ. — თავისუფლება
 აჟრ პარა პა'ხითთმ აძ' ააგარნჯს — კუვ. 75 წ. — წყალი რომ წავილოთ.
 ამის უფლება არა გვაქვს
 ი'ხირთხეგტ — კუვ. 10, მთქმ. 36 წ. — ის (რალაც) გათავისუფლდა
 ა'ხაიმე'ხიჟია — აფს. 37, მთქმ. 27 წ. — ზარმაცები

¹ იხ. ამის შესახებ ღაბ. § 9.
² შდრ. პირაქეთა დიალექტების აქ'აკია. (Д. Гулия, Материалы по абхазской грам-
 матике, 1927 წ. გ. 19).
³ იხ. ღაბ. § 9.
⁴ იხ. იქვე.

ბზლ'ხილა¹—აფს. 38, მოქმ. 36 წ.—ქალიშვილი

ნა'ხილა—აფს. 36, მოქმ. 43 წ.—გამომქლავნება.. და სხვ.

'ხი, ისევე როგორც დანარჩენი ადილურ ენათაგან შეთვისებული ბგერები, გვხვდება ამავე ენათაგან შემოსულ ლექსიკურ მასალაში. ოღონდ ამ შემთხვევაში შეიმჩნევა გამონაკლისიც. აფხაზურში გავრცელებული სიტყვა ხუჰგ („პატარა, მცირე“) კუვინსკის კილოკავში ზოგჯერ დავადასტურეთ 'ხიგჰგ-ს სახითაც².

მაგ.:

ლა 'ხიჰჰგჰგ აბჰატ — კუვ. 10, მოქმ. 36 წ.—მან (რალაცამ) პა-

ტარა ძალღიკ დანახა

იფპა 'ხიჰჰგ—კუვ. 11, მოქმ. 35 წ.—მისი (მამაკ.) პატარა ქალი-
შვილი

აჩიენ 'ხიჰჰგ— „ 2, „ 15 წ.—პატარა ბიჭი

აჩონ 'ხიჰჰგ— „ 23, „ 75 წ.—პატარა ქვაბი

ასგს 'ხიჰჰგ— „ 21, „ „ პატარა ბატკანი... და სხვ.

იქვე არა იშვიათად გვხვდება ამ სიტყვის პირაქეთა აფხაზური დიალექტებისათვის ცნობილი ხუჰგ (ხიგჰგ) სახეობა. იგივე 75 წლის მოქმელი სოფ. კუვინსკიდან (იხ. ზემოთ მაგალითები) უფრო ხშირად სწორედ ხუჰგ-ს ამბობდა.

მაგ.:

ალს ჟაყა იშტალან აფაცია ხუჰჰია — კუვ. 15, მოქმ. 75 წ.—ძალღი
კკა ღუნარციონ იქვე დაწვა და თავის პატარა

შვილებს ძუძუს აწოვებდა

ასგს ხუჰგ—კუვ. 15, მოქმ. 75 წ.—პატარა ბატკანი... და სხვ.

ძნელია იმის თქმა, რომ ეს ხუჰგ სახეობა დასდებოდეს საფუძვლად 'ხიგჰგ-ს. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ის ვარიანტი, რომელიც ჩვენ დავადასტურეთ ერთ-ერთ ჩვენ კუვინსკელ მოქმელთან. მან იხმარა ეს სიტყვა ქუჰგ-ს სახითაც. მაგ.:

ამცა ქუჰგ ააიბეჰტ — კუვ. 14, მოქმ. 64 წ. — მან (მამაკ.) პატარა
ცეცხლი დანახა

ჯჰჰ-ქუჰგ ააიბეჰტ — „ „ — მან (მამაკ.) იყიდა
ორი პატარა ცხენი.

• ქუჰგ (ქიგჰგ) სახეობით ეს სიტყვა გაგვიგონია ბზიფურ დიალექტშიაც³. აღნიშნული 'ხი ბგერის საფუძველიც ამ სიტყვაში ქი (ქუ) ბგერა უნდა იყოს (შდრ. იგივე 'ხი ი თ—(„უფლება“) და აფხაზ. ახა-ქიითრა „თავისუფლება“⁴).

¹ სხვა მოქმელთა ენაში ისმოდა ბზლ'ულა (კუვ. 8, მოქმ. 36 წ., კუვ. 14, მოქმ. 64 წ.) 'ხ აქ ლ'-სთან მებოლობაში თუ დიკარგა.

² აფსუის კილოკავში ხუჰგ-ს ნაცვლად ვხვდებოდით ან ხუც-ს ან კიკენ—სიტყვას

³ რა კავშირშია მასთან თურქული ენების ქუჩუკ („პატარა“)?

⁴ იხ. ტაბ. § 9.

